რუსული ენის წრის მუშაობის პროგრამა

რუსული ენის წრის მუშაობის

<u>პროგრამა</u>

(2019-2020 სასწავლო წლის I სემესტრი)

<u>რუსული ენის წრის მუშაობის</u>

<u>მიზანი და ამოცანები:</u> მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლება სწავლების ოთხივე კომპონენტში. (წერა, კითხვა, ლაპარაკი, მოსმენა)

* მოსწავლეთათვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდება

*მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.

* ლექსიკური მარაგის გაფართოება.

* მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება ენის სწავლების დროს და ახალი აქტივობების გამოყენება.

*ინტერაქტიული სწავლების შეცნობა და მისადაგება.

*მთარგმნელობითი უნარების გამომუშავება.

*დიალოგების მოწყობა ენობრივი თამაშების მოწყობით.

<u>წრის სახელწოდება:</u>,,რუსული ენის მოყვარულები“

<u>წრის მუშაობის განრიგი:</u> ოთხშაბათი - მე-7 გაკვეთილი

<u>დრო:</u>45წ

<u>კლასი:V</u> კლასი

<u>მოსწავლეთა რაოდენობა:</u> 6 მოსწავლე

<u>წრის ხელმძღვანელი</u>: რუსული ენის პედაგოგი

ლორეტა ჯურხაძე

რუსული ენის წრის მუშაობის თემატურ-კალენდარულიგეგმა

მე-5 კლასი

მოსწავლეთარაოდენობა -6 მოსწავლე

საათების რაოდენობა -10.

	თემა	**მეთოდი**	**კლასის ორგანიზაციის ფორმა**	**სასწავლო რესურსი**	**რიცხვი, თვე**	**აქტივობის ბოლოს მისაღწევი შედეგი**
1	1.რუსული ენის თავისებურებანი.	მინი ლექცია.	მთელ კლასთან	დაფა, პლაკატები, მარკერი, მაგნიტური დაფა.	2.10. 2019	მოსწავლე შეძლებს პარალელი გაავლოს სხვა მისთვის ნაცნობ ენებთან.

	კითხვა-რატომ ვსწავლობთ რუსულ ენას?	დისკუსია				დაინახონ რუსული ენის სარგებლიანობა.
2	,,სხეულის ნაწილები” ,,დავხატოთ სხეულის ნაწილები“	სიტყვის ბარათები კეთებით სწავლება	ინდივიდუალური, ჯგუფური	ფერადი ფანქრები, ხატვის ფურცლები,	9.10. 2019	მოსწავლეები შეძლებენ ბარათებზე, რომელზეც წერია სხეულის ნაწილების სახელები ,ლექსიკონის დახმარებით ქართული შესატყვისების მიწერას. მოსწავლეები დახატავენ სხეულის ნაწილებს და მიუწერენ რუსულ შესატყვისებს.
3	,,ფერებით თამაში”	ბარათების აწყობა კითხვა-პასუხი	წყვილები.	ბარათები, ფურცლები, კალმები.	16.10. 2019	მოსწავლეები შეძლებენ სხვადასხვა ბარათზე დაწერილი ფერების რუსული და ქართული შესატყვისების დაწყვილებას. წყვილებში მსხდომი მოსწავლეები ერთმანეთს შეეკითხებიან ფერების სახელწოდებებს.
4	გრამატიკული მასალა-ვინ? და რა? კითხვა	მინილექცია კითხვა-პასუხი	ინდივიდუალური მთელ კლასთან	სხვადსხვა საგნის სურათები, კომპიუტერი, პროექტორი	23.10. 2019	მოსწავლე შეძლებს საგანთა დაყოფას ვინ და რა ჯგუფებად.

5	საყიდლების შეძენა	როლური თამაში	მთელ კლასთან	პროდუქტების მაკეტები. მარკერები,	30.10.2019	მოსწავლეები იმიტაციურად მოაწყობენ მარკეტს და გაითამაშებენ როლებს.
6	ჩემი საყვარელი ზღაპარი პერსონაჟებზე მსჯელობა	საჩვენებელი კითხვა ანალიზი	მთელ კლასთან	ტექსტი	6.11.2019	მოსწავლეები მოუსმენენ მასწავლებელს და იმსჯელებენ ზღაპრის გმირების საქციელზე
7	5. შეხედე და გამოიცანი	სურათების დალაგება თანმიმდევ-რობით	ჯგუფური, წყვილები.	ფორმატები, ფანქრები, წებო, დაფა.	13.11.2019	მოსწავლეები შეუძლებენ სურათებზე გამოსახული საგნები დაალაგონ იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაცაა ჩამოწერილი ქაღალდზე ამ საგანთა სახელები.

8	ერთად ვუყურეთ მულტფილმს	მოსმენა შთაბეჭდილების გადმოცემა	მთელ კლასთან ინდივიდუ-ალური	კომპიუტერი პროექტორი მულტფილმი,,მაშა და დათვი“	20.11.2019	მოსწავლე შეძლებს რამდენიმე სიტყვით მიღებული შთაბეჭდილების გადმოცემას.
9	ანბანის დამზადება	კეთებით სწავლება	მთელ კლასთან		27.11.2019	მოსწავლეები დაამზადებენ ანბანს, ზედ დაახატებენ ისეთ საგანს , რომლის სახელწოდება იმ ასოზე იწყება.
10	წრის მუშაობის შეჯამება	პრეზენტაცია			04.12.2019.	მოსწავლეები ისაუბრებენ, რა ისწავლეს ახალი, რა იყო მათთვის საინტერესო და დასამახსოვრებელი.

რეფლექსია

ინგლისური ენის საწრეო მუშაობის დასახული მიზანი იყო ინგლისური ენის სწავლების ორთხივე კომპონენტის სრულყოფისთვის სხვადასხვა აქტივობების თანმიმდევრობით გამოყენება და მოსწავლეების დაინტერესება და ჩაბმა საგაკვეთილო პროცესში.

პირველ რიგში შევეცადე შემექმნა მათთვის სასურველი სასწავლო გარემო, სადაც ისინი ყოველგვარი დაძაბული ურთიერთობის მაგივრად ყოფილიყვნენ აქტიური მონაწილეები ნემისმიერი აქტივობების შესრულებისას.

გეგმაში შევიტანე მრავალფეროვანი აქტივობები, რათა უფრო მოტივირებულები ყოფილიყვნენ და თითოეული მათი შეხვედრა უფრო მეტად აქტიური ყოფილიყო და მეტი ინიციატივა გამოეჩინათ თამაშების, წერითი დავალების, ფილმების ჩვენების, სიმღების მოსმენის დროს.გარემო მორგებული იყო მათ ასაკს. განწყობა ყოველთვის იყო პოზიტიური და სახალისო.

გამოყენებული რესურსები წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სახით. (ფილმები, ფერადი პლაკატები, ნიღბები, ლოტო, თეატრალური თოჯინები, ნახატები).

თემები იყო მრავალფეროვანი და ამის შესაბამისად ყოველ აქტივობა იყო უცხო და მრავალფეროვანი.

მათთვის ყველაზე საინტერესო სწავლების ფორმა იყო როლური თამაში, სიმღერა და სხვადასხვა მოძრაობებზე დაფუძნებული თამაშები.ასეთმა ტიპის აქტივობებმა მოსწავლეებს გამოუმუშავა უცხო ენაზე მეტყველებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები და მათ შეძლეს მარტივ ინტერექციაში მონაწილეობა სიტყვის დავიწყების ან არცოდნის შემთხვევაში იყენებდნენ საკომპენსაციო საშუალებებს (მიმიკას, ჟესტიკულაციას) განსაკუთარებით აქტიურები იყვნენ ჯგუფურ ან წყვილებში მუშაობის დროს. ცდილობდნენ ეთანამშრომლათ და დახმარებოდნენ ერთმანეთს.

ასეთმა შეხვედრებმა მათ, გამოუმუშავათ, გუნდური პრინციპი: „ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის“. ყველაზე მეტად აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებმა ისწავლეს ფუნქციების განაწილება და დროის დაცვა.

ნამდვილა დ შემიძლია აღვნიშნო, რომ სწავლის საბოლოო მიზანი მიღწეულია, რადგან შედეგი თვალსაჩინოა:

1. გააუმჯობესეს მოსმენის სტრაგეგიები (მაგ. ადაპტირებული ზღაპარი, მოთხრობა).
2. გამოუმუშავდეთ ხმამაღალი კითხვის ელემენტარული უნარ-ჩვევები.
3. მოსწავლეებმა შეძლეს წერის სტრატეგიების გამოყენება ნაწერის დახვეწა-გაუმჯობესების მიზნით.
4. მოსწავლეებმა შეძლეს მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა.
5. მოსწავლეებს გამოუმუშავდათ ელემენტარული ენობრივი უნარ-ჩვევები და შეძლეს მათი გამოყენება.

საწრეო მუშაობის დროს ხშირად მიწევდა გეგმის შეცვლა და აქტივობების გადანაცვლება, რადგან ზოგჯერ ზოგიერთი მოსწავლე ვერ ართმევდა თავს სასწავლო აქტივობებში აქტიურად ჩაბმას. შევეცდები მომავალში შევცვალო ან ჩავ
გამოვიყენო უფრო ქმედითი და შემოქმედებითი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლის გააქტიურებას და ჩართავს ინტერაქციაში.